განმარტებითი ბარათი
კანონპროექტზე "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში დამატების შეტანის
თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს ახალი კანონის მიღება.

კანონპროექტით კონკრეტდება, რომ პალატის მუშაკებზე "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციით ან სპეციალური კანონმდებლობით, კერძოდ, კანონით "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" სხვა რამ არ არის დადგენილი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონთან.

კანონპროექტის მიზანია კონტროლის პალატის მუშაკთა პასუხისმგებლობის ხარისხის ამაღლება, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" კანონი (პროექტი) წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელ საკანონმდებლო აქტს, რომელიც ადგენს არა მარტო კონტროლის პალატის შემოწმების უფლებამოსილების რეგლამენტაციას იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან მიმართებაში, არამედ არეგულირებს აგრეთვე ამ ურთიერთობებიდან წარმოშობილ საკითხებს, მათ შორის ისეთს, როგორიცაა კონტროლის პალატის მუშაკთა სამართლებრივი და სოციალური დაცვა, მათი შრომითი უფლებები და ვალდებულებები.

კანონპროექტით დამატება შედის კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში, რომელსაც ემატება "მ" ქვეპუნქტი - "საქართველოს კონტროლის პალატის მუშაკები". შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება კონტროლის პალატის მოსამსახურეებზე გავრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობების ფარგლებში, რომლებიც არ არის მოწესრიგებული "საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" კანონის პროექტით.

ბ)კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ)კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ)კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ იწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას.

ბ.ე)კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების გაუარესებას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება .

ბ.ვ)კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი(პრინციპები):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ)კანონპროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო. არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებისას მონაწილეობდნენ მსოფლიო ბანკის ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს კონტროლის პალატა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.